

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს განცხადება

როგორც საზოგადოებისათვის არის ცნობილი, მიმდინარე წლის 25 აპრილის, „ფაქტ-მეტრის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც 2016 წლის 3 მარტს, „ფაქტ-მეტრმა“ წერილობით მიმართა საზოგადოებრივი მაუწყებელს და შემდეგი საჯარო ინფორმაციის გაცემა ითხოვა:

- „მოგმართათ თუ არა არასაპარლამენტო ოპოზიციის ინტერპარტიულმა ჯგუფმა საარჩევნო საკითხებზე თქვენი საეთერო დროის დათმობის თხოვნით?
- ასეთი თხოვნის არსებობის შემთხვევაში, რა რეაგირება მოახდინეთ მასზე?“

„ფაქტ-მეტრის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წლის 22 მარტს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა „ფაქტ-მეტრს“ აცნობა, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციის ინტერპარტიულ ჯგუფს საარჩევნო საკითხებზე საეთერო დროის დათმობის მოთხოვნით მათთვის არ მიუმართავს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სურს გამოეხმაუროს მაუწყებელსა და „ფაქტ-მეტრს“ შორის გამართულ ზემოთ მოყვანილ მიმოწერას და განაცხადოს შემდეგი:

- 2015 წლის 23 ოქტომბერს საზოგადოებრივ მაუწყებელში გიორგი ახვლედიანის („გაერთიანებული დემოკრატები“) და ზურაბ ხარატიშვილის („სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისათვის“) ხელმოწერებით დარეგისტრირდა განცხადება, რომლის თანახმადაც საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში საარჩევნო სისტემის გაუმჯობესების მიზნით საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა იქნა მოთხოვნილი;
- მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლის 23 ოქტომბერს, გიორგი ახვლედიანის და ზურაბ ხარატიშვილის ხელმოწერებით დარეგისტრირებული განცხადება არ მოიცავდა განმცხადებლების მისამართს და თარიღს (თარიღი - 2016 წლის 23 ოქტომბერი მაუწყებლის მიერ იქნა მინიჭებული), საზოგადოებრივმა მაუწყებელმა განცხადება მაინც დაარეგისტრირა;
- გიორგი ახვლედიანის და ზურაბ ხარატიშვილის ხელმოწერებით დარეგისტრირებულ განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ განცხადების წარდგენა ხდებოდა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მომუშავე ინტერპარტიული ჯგუფის სახელით. თუმცა, განცხადებას არ ერთვოდა რაიმე დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ განცხადების წარდგენა ნამდვილად საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მომუშავე ინტერპარტიული ჯგუფის სახელით განხორციელდა. საზოგადოებრივ მაუწყებელს სადაო არ გაუხდია განცხადების წარმდგენთა სტატუსი და არც დამატებით რაიმე დოკუმენტის წარდგენა მოუთხოვია მათგან.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო აღნიშნავს, რომ 2015 წლის 23 ოქტომბერს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მომუშავე ინტერპარტიულმა ჯგუფმა ნამდვილად მიმართა საზოგადოებრივ მაუწყებელს (მიუხედავად იმისა, მაუწყებლის საკანცელარიო ჟურნალში ვინ დარეგისტრირდა განმცხადებლად) და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში საარჩევნო სისტემის გაუმჯობესების მიზნით საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა ითხოვა.

სამეურვეო საბჭო მოუწოდებს საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტს, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მაუწყებელში წარმოდგენილი განცხადებების განხილვას და გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებულ საკითხებს.